

მოკლე შინაარსი

კვლევა საერთაშორისო დავების გადაწყვეტის შესახებ: 2022 წლის საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილია 2021 წლის განმავლობაში ჩატარებული სინგაპურის საერთაშორისო დავების გადაწყვეტის აკადემიის ("SIDRA") მეორე კვლევის შედეგები. კვლევის ჩატარების მიზანია უკეთ გავიგოთ მომხმარებელთა გამოცდილება და კმაყოფილება საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის, საერთაშორისო კომერციული მედიაციის, საერთაშორისო კომერციული სასამართლო წარმოების, შერეული მოდელის (ჰიბრიდული) დავების გადაწყვეტისა და ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტის მექანიზმების გამოყენების კუთხით. კვლევაში კვლავ წარმოდგენილია საერთაშორისო დავების გადაწყვეტის პროცესში ტექნოლოგიის გამოყენების კუთხით მომხმარებელთა გამოცდილებისა და კმაყოფილების შესახებ მონაცემები. კვლევაში პირველად არის წარმოდგენილი მესამე მხარის მიერ დაფინანსების ცნობადობისა და გამოყენების საკითხი.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია კვლევის შედეგები, მიმდინარე ტენდენციები და სფეროები, რომლებიც შეიძლება გაუმჯობესდეს.

რესპონდენტების წარმოდგენა დავების გადაწყვეტის მექანიზმების შერჩევის ფაქტორების მნიშვნელობასა და კმაყოფილების შესახებ: არბიტრაჟი, მედიაცია და სასამართლო წარმოება

- სისწრაფე და მიუკერძოებლობა არის ის ორი ფაქტორი, რომლებიც მომხმარებლებმა მიიჩნიეს „აბსოლუტურად გადამწყვეტ“ ან „მნიშვნელოვან“ ფაქტორებად არბიტრაჟში, მედიაციასა და სასამართლო წარმოებაში.
- სისწრაფისა და ხარჯების კუთხით, რესპონდენტების უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი არის კმაყოფილი მედიაციით ვიდრე არბიტრაჟითა და სასამართლო წარმოებით.

უფრო მეტი რესპონდენტი მიიჩნევს ბიზნესურთიერთობების შენარჩუნებას და არაპირდაპირ ხარჯს მომხმარებლის ბიზნესის მიმართ როგორც „აბსოლუტურად გადამწყვეტ“ ან „მნიშვნელოვან“ ფაქტორებს მედიაციაში, არბიტრაჟსა და სასამართლო წარმოებასთან შედარებით.



საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი

- რესპონდენტთა უმეტესობის აზრით, პირდაპირი აღსრულება, კონფიდენციალურობა და პროცედურული მოქნილობა კვლავ რჩება ყველაზე „მნიშვნელოვან“ ან „აბსოლუტურად გადამწყვეტ“ ფაქტორებად დავების გადაწყვეტის მექანიზმად არბიტრაჟის შერჩევის დროს.
- რესპონდენტთა უმეტესობა არბიტრაჟში ყველაზე ნაკლებ კმაყოფილი არის ბიზნეს ურთიერთობების შენარჩუნების, მომხმარებლის ბიზნესის მიმართ არაპირდაპირი ხარჯისა და ხარჯების კუთხით.
- რესპონდენტები განიხილავენ მოგზაურობის შეზღუდვას, დაბალ ხარჯებს, დავის დაბალ ღირებულებასა და საკითხების ნაკლებ კომპლექსურობას წამყვან ფაქტორებად არბიტრაჟში სრულად ვირტუალური პლათფორმის გამოყენების კუთხით.
- რესპონდენტების უმეტესობას ესმის მესამე პირის მიერ დაფინანსების არსი, მნიშვნელობა და გამოყენება, მაგრამ არასდროს გამოუყენებია ეს მექანიზმი. გასაკვირი არ არის, რომ კლიენტ მომხმარებლებს უფრო ნაკლები გამოცდილება აქვთ მესამე პირის მიერ დაფინანსების გამოყენების კუთხით, ვიდრე დაქირავებულ იურიდიულ წამომადგენლებს.

საერთაშორისო კომერციული მედიაცია

- რესპონდენტების უმეტესობამ დაასახელა ბიზნეს ურთიერთობების შენარჩუნება, კონფიდენციალურობა და სისწრაფე, როგორც დავების გადაწყვეტის მიზნით საერთაშორისო კომერციული მედიაციის გამოყენების „მნიშვნელოვანი“ ან „აბსოლუტურად გადამწყვეტი“ ფაქტორები.
- რესპონდენტების უმეტესობა ძალიან კმაყოფილი იყო მათ მიერ შერჩეული მედიატორის ეთიკური სტანდარტებით, ენობრივი შესაძლებლობებითა და დავების გადაწყვეტის გამოცდილებით.
- რესპონდენტების უმეტესობამ მიუთითა, რომ ტექნოლოგია ძალიან ხელსაყრელი იყო ოლაინ/ვირტუალური მედიაციის ჩატარების კუთხით. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებები, როგორც არის დოკუმენტების ელექტრონული წარმოდგენა/სამართლებრივი აუდიტი, ავტომატიზირებული მოლაპარაკების ტექნიკა და მედიატორთა შერჩევის ანალიტიკა კლიენტ მომხმარებლებმა მიიჩნიეს უფრო ხელსაყრელად, ვიდრე დაქირავებულმა იურიდიულმა წამომადგენლებმა.



საერთაშორისო კომერციული სასამართლო წარმოება

- რესპონდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ საბოლოო იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენდა დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო კომერციული სასამართლო წარმოების შერჩევაზე. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები მოიცავს მიუკერძოებლობასა და პირდაპირ აღსრულებას.
- რესპონდენტების უმეტესობა კმაყოფილი იყო საერთაშორისო კომერციულ სასამართლო წარმოებაში წესებისა და პროცედურების სიცხადით და გამჭვირვალობით, მიუკერძოებლობითა და პირდაპირი აღსრულებით და ნაკლებად კმაყოფილი - პროცედურული მოქნილობით, ბიზნეს ურთიერთობების შენარჩუნებით, ინსტიტუტების, პროცესის ადგილისა და მოსამართლეების შერჩევის მოქნილობით.
- ადგილობრივი სასამართლოები კვლავ უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე საერთაშორისო კომერციული სასამართლოები, როგორებიც არის ლონდონის კომერციული სასამართლო („LCC“) და სინგაპურის საერთაშორისო კომერციული სასამართლო („SICC“).
- რესპონდენტების უმეტესობამ დაასახელა ვირტუალური/ოლაინ განხილვების ჩატარების პლატფორმები, დოკუმენტების ელექტრონული წარმოდგენა/სამართლებრივი აუდიტი და ქლაუდზე დაფუძნებული ინფორმაციის განთავსების სისტემები, როგორც „განსაკუთრებულად სასარგებლო“ ან „სასარგებლო“ ტექნოლოგიები საერთაშორისო კომერციულ სასამართლო წარმოებაში.

შერეული მოდელის (ჰიბრიდული) დავების გადაწყვეტა

- შერეული მოდელის მექანიზმებს აქვთ პოტენციალი შეამცირონ ცალკე მდგომი არბიტრაჟისა და მედიაციის მიმართ დასახელებული ნაკლოვანებები.
- რესპონდენტების უმეტესობამ შერეული მოდელის მექანიზმების შერჩევის მთავარ მიზეზად დაასახელა კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები.
- როდესაც მხარეთა ბიზნეს ურთიერთობების შენარჩუნება, ხარჯები და სისწრაფე იყო მნიშვნელოვანი მიზეზები, რესპონდენტების უმეტესობამ ცალკე მდგომი არბიტრაჟის ნაცვლად აირჩია შერეული მოდელის მექანიზმები.
- რესპონდენტების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ბიზნეს ურთიერთობების შენარჩუნება და შერეული მოდელის მექანიზმების პროცედურული მოქნილობა იყო მნიშვნელოვანი ფაქტორები, რასაც ისინი ითვალისწინებდნენ ცალკე მდგომი მედიაციის ნაცვლად შერეული მოდელის მექანიზმების არჩევისას.



ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტა

- საერთაშორისო არბიტრაჟი კვლავ წარმოადგენს რესპონდენტების უმეტესობის არჩევანს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტისთვის; რესპონდენტების უმეტესობა ირჩევს ინსტიტუციონალურ ან *ad hoc* არბიტრაჟს.
- პირდაპირი აღსრულება და პოლიტიკური მგრძობელობა კვლავ წარმოადგენენ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტის მექანიზმის შერჩევის მთავარ ფაქტორებს.
- ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტის მიზნით უფრო მეტი რესპონდენტი იყენებს ინსტიტუციონალურ მედიაციას ვიდრე საერთაშორისო კომერციულ ან ადგილობრივ სასამართლო წარმოებას.
- რესპონდენტების უმეტესობა კმაყოფილია სისწრაფით, კონფიდენციალურობით, ბიზნეს ურთიერთობების შენარჩუნების შესაძლებლობით, მიუკერძოებლობით და პოლიტიკური მგრძობელობით, რასაც მედიაცია სთავაზობს.

The Georgian version of the Executive Summary of the SIDRA International Dispute Resolution Survey: 2022 Final Report has been provided by **Mariam Gotsiridze**, Principal Research Fellow, SIDRA.

